საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/45

ქ. ბათუმი 19 მარტი, 2021 წ.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა" მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის № 01-08/137 ბრძანების, ამავე ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2021 წლის 5 მარტის სხდომის №20-19/03 ოქმის, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 10 მარტის N01-02/40 ბრძანების, ა (ა) იპ ბათუმის ბაღების გაერთიანებასა და ბსუ-შორის დადებული ხელშეკრულების (N02, 16.03.2021), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 მარტის № 253519 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა"** მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თანდართული ფორმა **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პედაგოგთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორმა უზრუნველყოს **,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის"** პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებთან ხელშეკრულებების გაფორმება და მათი ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა.
3. დაევალოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები" და საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის
უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის
„საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“
მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 19 **მარტის №** 01-02/45 **ბრძანების**

დანართი №1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი **„ .....“ „..... “, ... წელი**

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - **„ბსუ**“), წარმოდგენილი მისი რექტორის მიერ და მეორე მხრივ ---------- (შემდეგში „მსმენელი“)

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანია** მსმენელის მიერ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **„საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“** (შემდგომში - „პროგრამა“) გავლა.
2. პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 1750 ლარს ერთ სატრენინგო ჯგუფზე (15 მსმენელი ჯგუფში, ტრენერის საკონტაქტო საათი ჯგუფთან - 35 საათი).
3. მსმენელის სწავლის საფასურის გადამხდელია ა(ა)იპ - ბათუმის ბაღების გაერთიანება, თანახმად **ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“** და **ბსუ-ს** შორის 2021 წლის 16 მარტს გაფორმებული N02 ხელშეკრულებისა.
4. **მსმენელი ვალდებულია** შეასრულოს ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებით და შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები სასწავლო პროცესთან და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.
5. **ბსუ ვალდებულია** შეუქმნას მსმენელს პროგრამის გავლისათვის შესაბამისი პირობები (ტრენერი მიხეილ დონაძე; სასწავლო პროცესი წარიმართება **2021 წლის 20 მარტიდან,** შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა N 15, აუდიტორია №204).
6. **ბსუ უფლებამოსილია** მსმენელის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევის, 50%-ზე მეტი ოდენობით მეცადინეობაზე გამოუცხადებლობის ან/და სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამორიცხოს იგი მსმენელთა სიიდან, გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების გარეშე.

„მხარეთა ხელმოწერები“

„ბსუ"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ.
№35/32

(რექტორის ხელმოწერა)

„მსმენელი"

სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
პირადი № _
ფაქტობრ. მისამთ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
რეგისტრ.მისამ. ----------
ტელეფონი _
ელ. ფოსტა_ _

მსმენელის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _